



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გერმესაშვილი ვლადიმერ (ლადო) იაკობის ძე

გერმესაშვილი ვლადიმერ (ლადო) იაკობის ძე (6. IV. 1901, თბილისი,–1. I. 1953, იქვე), მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქართვე. დამს. არტისტი (1946). სიჭაბუკეში მღეროდა მ. კავსადის, ი. კალანდაძის, ა. მაისურაძის ხალხ. გუნდებში. 1929 დაამთავა თბილ კონსერვატორია (პროფ. ე. ვრონსკის კლასი). იყო ვ. სარაჯიშვილის სახ. პირველი სტიპენდიანტი. 1929–31 მივლინებული იყო მოსკოვის კ. სტანისლავსკის სტუდიაში. ამავე წლებში გამოდიოდა დიდი თეატრის სცენაზე. 1932-იდან იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. გ-ის რეპერტუარში იყო შემდეგი საოპერო პარტიები: მალხაზი, აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), პავლე (შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“). ჰერცოგი (ჯ. ვერდის „რიგოლეთო“), ალმავივა (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“), ინდოელი სტუმარი, ლიკოვი (ნ. რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“, „მეფის საცოლე“), ვლადიმერ იგორის ძე (ა. ბოროდინის „თავადი იგორი“), აშული (ა. სპენდიარიანის „ალმასტი“). გ. წარმატებით გამოვიდა მოსკოვში ქართ. ხელოვნ. I დეკადაზე (1937). 40-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართვე. რადიოს სოლისტად. განსაკუთრებით ცნობილია როგორც ქართვე. კომპოზიტორთა კამერულ-ვოკალური ნაწარმოებების შემსრულებელი.

---